



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№ 59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება N327/2020

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის რიგგარეშე არჩევნების ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ

ქ.ქუთაისი

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის; 169² მუხლისა და 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის N124/2020 განკარგულების საფუძველზე N59 ქუთაისის საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის მერის რიგგარეშე არჩევნების ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №138), მისი მიღებიდან 1 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.



კომისიის თავმჯდომარის მ/შ:

გელა თუთბერიძე

კომისიის მდივანი:

ლარინა ლალიაშვილი

მერის რიგგარეშე არჩევნების მეორე ტური - 21.11.2020

№ 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქი

- | | | |
|----|---------------------|--|
| 5 | გრიგოლი შუშანია | „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ |
| 41 | იოსები ხახალეიშვილი | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |